მოხალისეთა ცნობის ფურცელი

ლეგიონერი

№ 56 | გამოდის კვირაში სამჯერ | 5 ივლისი 1944 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის უმაღლეს სარდლობის ცნობები

კანის და სენ - ლოს რაიონებში ინგლისელთა იერიშები უშედეგოდ დარჩენ

ინგლის - ამერიკელები უტევენ იტალიაში

ლონდონი ისევ „V—1"-ის ცეცხლის ქვეშაა

ფიურერის მთავარი ბანაკი.

2 ივლისი.

გერმანიის უმაღლესი სარდლობა იუწყება:

კანიდან სამხრეთ - დასავლეთით, არტილერიის ძლიერ ცეცხლით სამზადისის შემდეგ, გუშინ, შუადღისას მტერმა დაიწყო გარღვევის ცდები. აქ და სენ - ლოს ჩრდილო აღმოსავლეთით მისი იერიშები უშედეგოდ აღმოჩნდენ. გუშინაც ჩვენი ავიაციის ძლიერი შენაერთნი აქტიურ დახმარებას უწევდენ ქვეითთა ჯარებს. გასულ ღამეს, ჩვენი ავიაციის შენაერთები წარმატებით თავს დაესხენ ხიდის თავის მომარაგების გემთა თავშეყრის ადგილებს. ფრანგული ტერიტორიის გაწმენდის დროს 80 ტერორისტი შებყრობილი იქმნა. ლონდონი ისევ „V—1"-ის მკაცრ ცეცხლის ქვეშაა.

იტალიაში ბრძოლათა სიმძიმე მდებარეობს იტალიის დასავლეთის ნაპირებთან. და ვოლტერრას სამხრეთ - აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, სადაც მტერმა ჩრდილოეთის მიმართულებით წინ წამოიწია. ტრასიმენის ტბის დასავლეთით და სიენნას სექტორში მტრის იერიშები მოგერიებული იქმნენ, რომლის დროს მათი ერთი ბატალიონი და 29 ტანკი განადგურებული იქმნა.

აღმოსავლეთის ფრონტის შუა სექტორში ჩვენი დივიზიები ვაჟკაცურად და მოხერხებულად იგერიებენ მათზე დიდად აღმატებული მტრის განუწყვეტელ იერიშებს. მძიმე ბრძოლების შემდეგ, სლუტსკი დაცლილი იქმნა.

ოსიპოვიჩის რაიონში, მიუხედავათ მტრის ძლიერი იერიშებისა, ჩვენი პოზიციები ხელუხლებელია. ბობრუისკის რაიონიდან ჩვენი ერთეულები ბრძოლით შემოუერთდენ ჩვენს უმთავრეს ძალებს.

შუა ბერეზინაზე ჩვენი ჯარები ბრძოლაში არიან ჩაბმულნი საბჭოთა ძლიერ ერთეულებთან. პოლოტცკიდან დასავლეთით მდებარე სექტორში მტერი ისევ უტევს. ამ ქალაქიდან სამხრეთ - დასავლეთით და სამხრეთით მტრის ყველა იერიშები მოგერიებულნი იქმნენ. ჩვენი ავიაცია შეუწყვეტლივ მონაწილეობას იღებდა ამ ბრძოლებში და მტერს დიდ ზიანს აყენებდა.

შორეულ ჩრდილოეთში, კანდალაკშას რაიონში, საბჭოთა არტილერიის დახმარებით, წარმოებული იერიშები, მძიმე ბრძოლების შემდეგ, რომლის დროს ბოლშევიკებმა დიდი ზარალი ნახეს, — მოგერიებულნი იქმნენ.

გასულ ღამეს, ინგლისის ცალკეულ ავიონებმა დაბომბეს რეინ - ვესტფალიის რაიონი.

მოკლე ცნობები

დე გოლი აპირებს მოსკოვში გამგზავრებას

ლონდონიდან დაბრუნებულმა დე გოლმა ალჟირში რამოდენიმეჯერ ინახულა საბჭოთა ელჩი ბოგომოლოვი. როგორც ირწმუნებიან, ამ შეხვედრებს უდიდესი გავლენა ექნება ალჟირის კომიტეტს მომავალ ბედზე. უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ, დე გოლის კანცელიარიამ პრესას ცნობა გადასცა, რომ ბოგომოლოვმა საბჭოთა მთავრობის სახელით დე გოლი მიიპატიჟა მოსკოვში. იქ, თითქოს, დე გოლს დაახვედრებენ ხელის მოსაწერად პიერ კოტის (ბელიუმის მთავრობის ყოფილი წევრი) მიერ გამზადებულ მეგობრობის ხელშეკრულებას, რომელიც იქნება ბენეშის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების განმეორება, და რომლის მიხედვით დე გოლი გახდება სტალინის „ოფიციალური" მოკავშირე.

ესპანური პრესა საბჭოთა შეტევის შესახებ

საბჭოთა შეტევის დაწყებიდან, ესპანური პრესა ცდილობს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრის ყურადღების მიქცევას ევროპის ბოლშევიზაციის საშიშროებისადმი. ცნობილი სამხედრო მიმომხილველი მანუელ აზნარი შემდეგს სწერს: „პირდაპირ გაუგებარია, რომ ევროპის და ამერიკის ერებმა დღემდის ვერ გაიგეს სტალინის ნამდვილი ზრახვები და ისინი ყოველმხრივ ბოლშევიკებს ხელს უწყობენ მსოფლიოზე გაბატონების საქმეში.

საბჭოთა დღევანდელი შეტევა წმინდა პოლიტიკური ხასიათისაა. წითელი არმიის გამარჯვება ევროპის და ამერიკის ერებს უმზადებს შავი დღეების პერესპექტივებს".

გერმანული წყალქვეშა ნავები ახლო ხანში ისევ გამოვლენ ასპარეზზე

გერმანული პრესის სამმართველოს ყოველდღიურ მიღებაზე, ერთ - ერთი ჟურნალისტი შეეკითხა, მოსალოდნელია თუ არა გერმანულ წყალქვეშა ნავების მოხმარა ფრონტის სხვა ადგილებზე იმ შემთხვევაში თუ მათი გამოყენება ამჟამად ლამანშის წყლებში შეუძლებელია, რაზედაც ერთმა გერმანელმა კომპეტენტურმა სამხედრო პირმა შემდეგი უპასუხა: „უკანასკნელ ხანებში ძალიან ცოტას ლაპარაკობდენ ჩვენს წყალქვეშა ნავებზე, ახლო მომავალში თქვენ ბევრს ახალს გაიგონებთ მათზე".

არტილერიის დუელი

წარსულ დღეებში ჰავრის მახლობლად ჩვენი სანაპირო არტილერიისა და მტრის სამხედრო - საზღვაო შენაერთებს შორის, რომელიც შესდგებოდა ერთ საშუალო სამხ. გემისაგან, ორი კრეისერიდგან და ერთ კონტრ - ნაღმოსნისაგან, მოხდა არტილერიის დუელი. მტერი ესვროდა ჩვენს პოზიციებს დიდი სიშორიდგან. მიუხედავათ რამოდენიმე საათის საარტილერიო დუელისა, ჩვენს სანაპირო პოზიციებზე არ იყო არც ერთი დაჭრილი ან მკვდარი.

ამერიკამ გასწყვიტა კავშირი ფინეთთან

შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა სამინისტრომ 30 ივნისს გამოაქვეყნა ცნობა ფინეთთან დიპლომატიურ კავშირის გაწყვეტის შესახებ. ამერიკის საქმეთა რწმუნებულმა ჰელსინგში, მიიღო ბრძანება პასპორტების გამოთხოვის შესახებ.

დამოუკიდებელ საქართველოში

I

დამოუკიდებელ საქართველოში არსებობდა სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლება. თითეულ მოქალაქეს სრული უფლება ჰქონდა გამოეთქვა საკუთარი აზრი, გაემხილა საზოგადოებისათვის საკუთარი გულის ნადები, მას შეეძლო კრიტიკა გაეწია მთავრობისა და მისი მოხელეების მოქმედებისათვის, მათი საქმიანობისათვის. წამოეყენებია საკუთარი აზრი და მოეთხოვა მისთვის,— ანგარიშის გაწევა. საჭირო კრებაზე, კალმით ხელში, — ბეჭდითი ორგანოში, კერძო საუბარში ის აფასებდა საზოგადო აქტს, საზოგადო საქმეთა ხელმძღვანელთ, იწუნებდა მათ მოქმედებას, ან იწონებდა მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. თავისუფალ კრიტიკასა და აზრთა დაცვის ჭიდილში იბადებოდა სიმართლე, მოვლენების მიმართ საღი მიდგომა, იხაზებოდა სწორი გზები და ამით პრაქტიკულ საქმიანობას ეძლეოდა სამართლიანი მიმართება, აკმაყოფილებდა მოქალაქეთა სამართლიან მოთხოვნილებას. თითეულ თემში ხშირად ხდებოდა კრებები ადგილობრივ საჭირ – ბოროტ საკითხების გასარკვევად და მოსაგვარებლად. პრესაში, მთავრობის ნებადაურთველად სწარმოებდა მოქალაქეთა უფლების დაცვისათვის, სასარგებლო და საღი კრიტიკა, თუ ცხადია ი გ ი საზღვარს არ გადასცილებოდა და სახელმწიფო არსებობას საშიშროებას არ უქადდა.

თავისუფალი აზროვნების დენა აჯანსაღებდა, აფიქრებდა და იცავდა საზოგადოებრივ მორალის საღ ნიადაგზე დამაგრებას, ქმნიდა მოქალაქეთა ნორმალურ დამოკიდებულობას; მოქალაქის, პიროვნების ხელშეუხლებლობა უზრუნველყოფილი იყო კანონის მიერ, არავის შეეძლო დიდი ხნით დაპატიმრება სასამართლოს დადგენილების გარეშე. პატიმრის ტყვეობაში გაჩერება, გაუსამართლებლად შეუძლებელი იყო, 24 საათის შემდეგ მისთვის უნდა წაეყენებიათ ბრალდება ან გადაეცათ სასამართლოსათვის. ხელშეუხებელი იყო საცხოვრებელი ბინა, მისი გაჩხრეკა ეკრძალებოდა ცალკე მოხელეს, თუ ამისათვის არ იქნებოდა ცალკე ნებართვა. რწმენის თავისუფლება უზრუნველყოფილი იყო კანონის მიერ. თავისუფალი იყო პროფ. კავშირების დაარსება. მხატვრულ მწერლობას შეეძლო თავისუფლად გაეშალა თავისი შემოქმედება; მსგავსად ბოლშევიკურ მეთოდისა მას არავინ უყენებდა სხვა და სხვა სოციალურ დანაკვეთებს, ამა თუ იმ თანამდებობის პირთა ქება-დიდებას. ამა თუ იმ სახელმწიფო მოღვაწის პიროვნების ხოტბის შესხმას. არ იყო ჩაჭედილი რომელიმე დოქტრინის ფარგლებში და თავისუფალ შემოქმედებითი გაქანებით აკმაყოფილებდა ერის ესთეტიურ მოთხოვნილებას. პროზისა და პოეზიის ტილოზე იხატებოდა რეალური, მიუდგომელი, თავისუფალი კალმის ნაყოფით. ლიტერატურულ დენაზე, მის მიმართებაზე არავითარ ზეგავლენას არ ახდენდა არსებული ხელისუფლება.

ბოლშევიზმმა გაამეფა ტერორი, დებეზღება, დაუნდობლობა. ადამიანის სიცოცხლეს ფასი დაეკარგა, თითოეული მოქალაქე შიშის ქვეშ დააყენა. სამართალი სანატრელი გახდა. ის გადაიქცა შურისძიების იარაღად და დაჰკარგა დამოუკიდებელ მსაჯულის როლი. საქართველოშ უარი სთქვა ბოლშევიკურ მეთოდების შეთვისებაზე. მან არ მოისურვა ბოლშევიკურ მორალით ზიარებულიყო და აქედან წარმოიშვა ბრძოლა კომუნიზმის მიერ შემოტანილი წესების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ის ინარჩუნებს ძველ კეთილშობლიურ თვისებებს და მიილტვის კვლავ აღადგინოს დამოუკიდებელი ცხოვრება...

პ. სარიძე

დავითის გმირობა

1221 — 1222 წლებში, როგორც ნიაღვარი ისე დაექანენ ჩინგის ხანის ჯარები საქართველოსკენ. ამ დროს საქართველოს ძალა ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოლეული და მტერი დიდის ზიანით უკუაქციეს. მას მოჰყვა ჯალალ ედინის (სპარსეთი მბყრობლის) შემოსევები. რომელმაც ტფილისი გაანადგურა და საქართველოს დიდი ზიანი მიაყენა. საქართველოს დიდების შემდეგ ეს პირველი დამარცხება იყო და ამიტომ ქართველობა ბედს ადვილად არ შეურიგდა. და როდესაც 1235 წლებიდან მონგოლები შემოესიენ, ქართველობამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. ამ დროს ქართველობა დასუსტებული იყო და ათიოდე წლის განმავლობაში ნელნელა ყველა მთავრები ჩაჰბარდენ მონგოლებს...

მისწყდა უკანასკნელი ომის ყიჟინა. ხოლო საქართველოს ჯარების ამირსპასალარი ავაგ მხარგრძელი, ჩაკეტილი გაიანის ციხეში დიდხანს წინააღმდეგობას უწევდა მტრის ურდოებს.

დილის რიჟრაჟი იყო და ამირსპასალარს ძილი არ მიჰკარებია. ციხე ალყა შემორტყმული იყო და მოსვენებას არ აძლევდენ. ავაგი დარწმუნებული იყო, რომ ქართველები ასე ადვილად მტერს არ ჩაჰბარდებიან. ის განაგრძობდა ურჩობას და იმედოვნებდა, რომ დღეს თუ ხვალ მტრის ალყას გაარღვევდენ ქართველი რაინდები. მთელი საუკუნის მუდმივი გამარჯვების შემდეგ ამირსპასალარს უმძიმდა დამარცხებაზედ ფიქრიც კი.

ჩარმაგან ნოინი მოციქულს უგზავნის ავაგს და უხსნის, რომ მთელი საქართველო უკვე მოოხრებულია, ყველა მთავრები მას ჩაჰბარდენ და არჩევანი აღარ იყო. ავაგი კიდევ ერთხელ უარს უთვლის ნოინს. ამ დროს მოდის რუსუდან დედოფლის შიკრიკი. დედოფალი უკვე ქუთაისში იყო გადასული. ტფილისის დაცვა ჩაენდო მუხაძისთვის და ბოლოს რუსუდანის ბრძანებით ისიც ჩაუბარებია. შიკრიკმა ამცნო: „რამე თუ სავსე იყვნეს მოკლულთა მიერ ტყენი, მთანი და ხევნი, თვინიერ სიმაგრეთა, თუღა სადმე დარჩენილიყო; სავსე იყო ტყეებითა და ყოველნი მკვიდრნი საქართველოსნი ამირნ ხედვიდეს მამა - დედანი შვილთა მოკლულთა და შვილნი მამა - დედათა მკვდართა მდებარეთა, სხვანი ძმათა და ნათესავთა, და დათა თავისთა ავარათ წარსხმულთა, ცოლთა და შვილთა მათთა და ყოველსა სიმდიდრესა მათსა წინაშე მათსა გაბნეულსა“ ასე მძიმე იყო მსხვერპლი და ქართველი მთავრები ნელ - ნელა ჩაჰბარდენ მტერს. ამირსპასალარიც მათ კვალს დაადგა. ის პირველად ბარდავს გამოცხადდა ბათუ ყაენთან, რომელიც იყო მფლობელი ყივჩაყეთისა და რუსეთისა. ავაგს ეჯიბად ახლდა დავითი, ძე ივანე ახალციხელისა, რომელიც განთქმული იყო თავი ვაჟკაცობით და მთელი თავისი სიცოცხლე სარდლობ და ქართველთა მოწინავე ჯარს. ის დაიღუპა გმირულად ჯალალედინის შემოსევის დროს თრიალეთში. დავითიც გმირი იყო მამასავით. როდესაც გაიგო ავაგის წასვლა ბარდავს, მაშინადვე გადასწყვიტა თან გაჰყოლოდა, რათა ამირსპასალარს რამე ხიფათი არ შემთხვევოდა. ბარდავს რომ მივიდენ, დავითი ავაგის სახელით გამოცხადდა ყაენთან. ყაენმა ის მიიღო დიდის პატივით, ისე როგორც ამირსპასალარს შეეფერებოდა და ფრიადაც დაასაჩუქრა. მხოლოდ ამის შემდეგ, როდესაც ავაგმა ნახა, რომ მას ხიფათი არ მოელოდა, მეორე დღეს თვით გამოცხადდა ყაენ!ნა ყოველივე.

ბათუ ყაენი ფრიად განცვიფრდა ქართველთა ასეთი თავდადებული მოქმედებით და მაშინადვე შემდეგი ბრძანება გასცა: „უკეთუ ნათესავი ქართველთა ეგე ვითარი არის, ვბრძანებ, რათა რაოდენნიცა ნათესავნი არიან მორჩილებასა ქუეშე ჩუენ ყაენთასა, ყოველთ უმაღლესად და უწარჩინებულესად დაგიჭირნე, და ყოველთა უპატიოსნესად აღგრაცხნე, და მამული დასაქონელი თქვენთა ხელთა იყოს და ყოველსა საქმესა შინა მისანდონი იყვნეთ ჩვენგანა“. და ამის შემდეგ ავაგი დიდის ზეიმით „ალაყორუმში მიაცილა ... ყაენთან...

ყარამანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი და კავკასიელი მოხალისენი დასავლეთის ფრონტზე

ამ სათაურით ვრცელ წერილს ათავსებს ფრანგულ - გერმანული გაზეთი „პარიზერ ცაიტუნგი". სხვათა შორის ის სწერს: „კავკასიელთა და ქართველ მოხალისეთა შენაერთები გაფთრებით და ენტუზიაზმით იცავენ ატლანტიკის სიმაგრეებს, რადგან მათ იციან, რომ თითოული დარტყმა ინგლის - ამერიკელებზე იმავე დროს მაგრად ხვდება სტალინსაც. მათ ურჩევნიათ ბრძოლაში დაიხოცონ, ვიდრე მტერს ჩაბარდნენ, რომელიც მათ გეპეუს ჯალათებს გადასცემენ დაუყონებლივ". ამის შემდეგ კორესპოდენტი აღწერს სამხედრო ოპერაციების მსვლელობას და მასში ქართველ მოხალისეთა მონაწილეობას. „ატლანტიკის სიმაგრეთა უკან, სადაც ამწვანებული მდელოებია, აქა - იქ მოჩანს პატარა ტყეები, სწორედ აქ გადმოყარეს ინგლის - ამერიკელებმა პარაშუტელთა ახალი ჯგუფი. ერთეულს, რომელიც მთლიანად ქართველ მონალისეებისაგან შესდგება, დაევალა მათი შეპყრობა ან განადგურება. მართალია, ეს პეიზაჟი არაფრით არ მიგაგავს მათ სამშობლოს, მაგრამ ისინი შეგნებულად იბრძვიან. მის დასაცავად. ერთი ჯგუფი ორი ტყვიისმფრქვევით მოეწყო მინდვრის შესავალთან. ქართველი მოხალისენი უცდიან, რომ პარაშუტელთა დიდმა ნაწილმა თავი იქ მოიყაროს. ამას შემდეგ ისინი მათ ესვრიან. გაისმის ავტომატიურ იარაღთა სროლა, ხანჯალიც ხმარებაშია. ხარდება ხელით სასროლი ბომბები. ყოველი ხის უკან, ყოველ ოდნავ მაღლობის გვერდით, თავდამსხმელს სიკვდილი მოელის. ინგლის - ამერიკელები ვერ გაექცევიან მათთვის მოულოდნელ თავდასხმას".

ევროკელთა ახალი მოხალისენი

ბელგიელ მოხალისეთა მოძრაობა თანდათან მატულობს. უკანასანელ დღეებში ახალ ძალების მომატების გამო, „ვალონელთა ლეგიონი", რომელიც დღემდის შეადგენდა S.S. ერთ ბრიგადას, — გადაკეთდა დივიზიათ. ღენერალმა შარდომმა, რომელმაც თავის დროზე ბელგიის არმიაში სამთო ნაწილები ჩამოაყალიბა და თავი ისახელა 1940 წლის მაისის კომპანიაში, ითხოვა „ვალონიის ლეგიონის" რიგებში ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ამერიკელებმა ითხოვეს გერმანელებისაგან სანიტარული დახმარება

ერთ - ერთ მეტად დაშავებულ სექტორში მდგომმა ამერიკელთა ნაწილმა, რამოდენიმე დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, რომლის დროს მათ მოკლულთა წარმოუდგენელი რიცხვი დაჰკარგეს, — სამჯერ გამოგზავნეს მოციქულები გერმანელებს თხოვნით, რომ მათ დასახმარებლად გაეგზავნათ გერმანელი ექიმები და სანიტრები, ხაზს შუა დარჩენილი, მძიმედ დაჭრილ ამერიკელ ჯარის კაცთა ჭრილობების შესახვევად. სამაგიეროდ ისინი თანხმდებოდენ რამოდენიმე ტყვედ წაყვანილ გერმანელ ჯარისკაცთა განთავისუფლებას. ეს საჩქარო საექიმო დახმარების თხოვნა საკმარისად ასურათებს ამერიკელ ჯარისკაცთა დეპრესიულ მდგომარეობას. გერმანული პოზიციების ამ სექტორში დათვლილი იყო ათასზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცის გვამი.

საფრანგეთის ისტორიული ქალაქის, ვერსალის დაბომბვა

24 ივნის ქ. ვერსალი დაბომბილი იქმნა ინგლის-ამერიკელთა ავიაციის მიერ. განსაკუთრებით დაზიანდა მისი სამი მუშაოთა უბანი, რომელიც ეხლა დასრულებულ ბრძოლის ველს წარმოადგენს უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში ეს მეორეჯერაა, რომ მტრის ავიაცია ვერსალს თავს ესხმის. ამ უკანასკნელმა თავდასხმამ უდიდეს მატერიალურ ზარალის გარდა, მოსახლეობას დიდი მსხვერპლი მიაყენა. დაჭრილთა რიცხვი აღწევს 700-მდე, მოკლულთა კი 225-დე.

მოკლე ცნობები

ქალაქი გახვეულია ცეცხლში

გერმანიის სამხედრო კორესპენდენტი გადმოგვცემს შთაბეჭდილებას გერმანიის მფრინავებისა, რომლებმაც ნახეს ლონდონი ახალი იარაღის ხმარების შემდეგ.

უნდა იყოთ მხატვარი, სწერს ერთი მათგანი, რომ დახატოთ სურათი დღევანდელი ლონდონისა. მას შემდეგ რაც ნახმარი იქმნა დიდი კალიბრის ყუმბარები. უნდა იყოთ დიდი მხატვარი რომ გადასცეთ თუ რა ფერის ცეცხლშია გახვეული დღეს ლონდონი.

გერმანელი მფრინავები, რომლებსაც ხშირად უხდებათ ფრენა ლონდონზე, გადმოგვცემენ, რომ ქალაქი გახვეულია ცეცხლში და კვამლში, ფრენის დროს ისეთი სინათლეა, რომ გეგონებათ დღეაო.

ყველა, ვინც ახალი იარაღის ხმარების შემდეგ გადაფრინდენ ლონდონში, მოგვითხრობენ, რომ მთელი ამ ომის მსვლელობის განმავლობაში, არსად და არასოდეს არ გვინახავს ის, რაც ჩვენ ვნახეთ ინგლისის დედა - ქალაქში.

ფილიპე ანრიოს მკვლელობა

ოთხშაბათს, 12½ სათზე, საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარემ, პიერ ლავალმა რადიოთი აუწყო ფრანგის ხალხს, პროპაგანდის და ინფორმაციის მინისტრის, ფილიპე ანრიოს მოკვლა ტერორისტების მიერ. ის იშვიათი მხნეობით იბრძოდა ახალ ევროპის შექმნისათვის. გამბედავი და იშვიათი ორატორულ ნიჭით დაჯილდოვებული, სასტიკი მტერი იყო ბოლშევიზმის და მისი ეხლანდელი მოკავშირეების. ხუთი თვეა, რაც ის საფრანგეთის პროპაგანდის და ინფორმაციის მინისტრი გახდა და მას შემდეგ, ყოველდღე, ის რადიოთი მიმართავდა საფრანგეთის მოსახლეობას. ის მას აფრთხილებდა, არიგებდა. მისი დიდი ცოდნით და ენერგიით ყველობიო არკვევდა მთელ იმ მზაკვრობას, რომელსაც საფრანგეთს ბოლშევიზმი და მისი მოკავშირეები უმზადებენ. მისი სიტყვა იყო მჭრელი და დამაჯერებელი, ამიტომ მისი ეშინოდათ მის მოწინააღმდეგებს. მათ არ შეეძლოთ საკუთარ სიტყვით გაექარწყლებიათ ანრიოს ძლიერი არგუმენტაცია და სწორედ ამიტომ ის ლაჩრულად მოკლეს. გერმანიის ოფიციალური სააგენტო მის მკვლელობას მიაწერს ინგლისის „ინტელიჟანს სერვის".

პარიზელი პრესა დიდ ადგილს უთმობს ანრიოს მკვლელობისათვის მიძღვნილ კომენტარიებს. ყველანი ერთ ხმად აღნიშნავენ, რომ მკვლელთა ზურგს უკან იმალებიან ინგლის - ამერიკელები. „ლა ფრანს სოციალისტ"-ი სწერს, რომ ანრიომ შესძლო შეექმნა გამარჯვებულ და დამარცხებულ ერთა შორის თანამშრომლობის შესაძლებლობა. „ჩვენ ვიცით ვის მიერ იქმნა გამოსროლილი ეს ტყვიები, — სწერს „კრი დე პეპლ"-ი. ამ ფრანგ - პატრიოტის მკვლელები — ინგლის - ამერიკელებია". „ჩერჩილმა, რუზველტმა და სტალინმა საბოლოოდ ჩააჩუმეს მათთვის საშიში მტერი", სწერს „პარიზერ ცაიტუნგი".

„საფრანგეთმა და ევროპამ გაიღო დიდი მსხვერპლი"

ფ. ანრიოს მკვლელობამ ბერლინის ოფიციალურ წრეებში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ფრანგული საინფორმაციო ბიუროს წარმომადგენელს შემდეგი განუცხადეს: „ჩვენ ძლიერ აღშფოთებული ვართ ანრიოს ვერაგული მკვლელობით. ჩვენ მას დიდათ ვაფასებდით და ქედს ვიხრიდით მისი ნიჭის წინაშე. ის იყო ახალ ევროპისათვის ჩვენი ერთგული და პატიოსანი თანამებრძოლი. მისი სიკვდილი დანაკლისია არა მარტო საფრანგეთისათვის, არამედ ევროპისათვის. მისი ფიზიკურ მკვლელობის სულის ჩამდგმელნი არიან ინგლისელები, ევროპის ვაერთიანების უდიდესი მტრები".

გერმანიის უმაღლეს სარდლობის ცნობები

გერმანული ნაწილები ენერგიულად უტევენ მტერს კანის და სენ-ლოს სექტორებში

6 ივნისიდან ნორმანდიის ფრონტზე განადგურებული იქმნა ინგლის ამერიკელთა 900 მეტი ტანკი

აღმოსავლეთ ფრონტის ცენტრალურ სექტორში მიმდინარეობენ გააფთრებული ბრძოლები

ფიურერის მთავარი ბანაკი.

30 ივნისი.

გერმანიის ჯარების უმაღლესი სარდლობა იუწყება:

ნორმანდიაში მტერი ყოველ გვარ ზომებს იღებს ქ. კანის მომარაგების გზების გადაჭრისათვის და თვით ქალაქის დასაკავებლად. ამ მიზნით გუშინ მეტად ენერგიული იერიშები მოიტანა ძლიერი არტილერიის და ავიაციის დახმარებით და მკაცრი ბრძოლების შემდეგ შესძლო ერთ ადგილას ჩვენი ხაზების გარღვევა. მაგრამ ჩვენი გააფთრებული კონტრ-იერიშით მის დაკავებულ რაიონის დიდი ნაწილი უკანვე დავიბრუნეთ. მტერმა აქ დიდი ზარალი ნახა.

ორნის აღმოსავლეთით და ტილის სამხრეთ - დასავლეთით მტრის არტილერიის დახმარებით წარმოებული წინ წამოწევის ცდები უშედეგოდ დარჩენ. ჯადმოსხმის ფრონტზე 6 ივნისიდან მტრის 900 მეტი ტანკია განადგურებული. შერბურგის რაიონში წარმოებული ბრძოლების დროს განსაკუთრებით დაწინაურდა ერთ - ერთ წერტის უფროსი, ლეიტენანტი დაიმლინგი. ლამანშის კუნძულებზე მდებარე ჩვენმა სანაპირო ბატარეიებმა აიძულეს მტრის გემთა რამოდენიმე შენაერთი, პირი ებრუნათ ინგლისისაკენ. ჩვენმა შორსმსროლელმა საზღვაო არტილერიამ, ინგლისის ნაპირებთან, მძიმედ დააზიანა მტრის ერთი ნავთგადამზიდველი გემი. ლონდონის რაიონი ისევ „V — 1-“ის ცეცხლის ქვეშაა.

იტალიის ფრონტზე გაფთრებული ბრძოლები მიმდინარეობენ. ლიგურიის ზღვის ნაპირებიდან და სენის შუა მდებარე რაიონში, სადაც მთელი დღის განმავლობაში გუშინ, ძლიერი არტილერიის და ტანკთა მრავალ შენაერთების დახმარებით მას ჩვენზე იერიშები მოჰქონდა. მიუხედავად ამისა, მას სულ მცირე ტერიტორიალური მიღწევები აქვს. ტრანსიმენის ტბის გარშემო წინადღეებში, მტერი იძულებული იყო, თავის ჯარების გადაჯგუფების მიზნით, შეეჩერებინა იერიშების მოტანა და მხოლოდ გუშინ საღამოს განაახლა ბრძოლა. აღმოსავლეთ ფრონტზე, ბორისოვის რაიონში და პოლოტცკის სამხრეთით სწარმოებენ გააფთრებული ბრძოლები. ჩვენმა ავიაციამ გაანადგურა მტრის ქვეითა ჯარის და ავტომანქანათა კოლონები. პოლოტცკის სამხრეთით მტრის იერიშები მოგერიებული იქმნენ, რომლის დროს მტერმა დიდი ზარალი გაიღო. ამ ოპერაციების დროს განსაკუთრებით დაწინაურდა ჩრდილო გერმანიის მე-290-ე დივიზია, ენერალ ჰენკეს მეთაურობით.

თეთრ რუთინელთა მხარე გაწმენდილი იქმნა მტრის ბანდებისაგან: ეს წარმატებითი ოპერაციები ჩატარებული იქმნა პოლიციის ენერალ ფონ გოტბერგის მეთაურობით, S.S.ის ჯარების მიერ. ოთხი კვირის ბრძოლების დროს განადგურებული იქმნა ბანდიტების 342 თავშესაფარი და 936 გამაგრებული წერტი. ბოლშევიკებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს მოკლულებით. მათი დახოცილთა რიცხვი აღწევს 7.700-მდე, 5.300 ტყვედ იქმნა წამოყვანილი, ხელთ ვიგდეთ იარაღის და სანოვაგის მრავალი საწყობები.

გუშინ ამერიკული ავიაციის ძლიერი შენაერთები თავს დაესხენ ცენტრალური გერმანიის დასახლებულ ადგილებს. ზარალი და მოსახლეობის მსხვერპლია, განსაკუთრებით ქ. მაგდებურგში და ვიტენბერგში. გასულ ღამეს დაბომბილი იქმნა აგრეთვე ვენის რაიონი. გერმანიის საჰაერო თავდაცვის ძალებმა ჩამოჰყარეს გუშინ მტრის 34 თვითმფრინავი ჩვენმა წყალქვეშა ნავებმა გაანადგურეს მტრის სამი გემი, რომლის საერთო წყალწყვა 13.000 ბრუტტონას უდრის და ერთი ავიონთა სადგომი გემი. ჩვენმა წყალქვეშა ნავებმა მზვერავ ძალებიან ბრძოლის დროს აგრეთვე გაანადგურეს მტრის ათი თვითმფრინავი.

პრესისს მიმოხილვა

ახალ გერმანულ იარაღზე

ახალ იარაღთან ბრძოლა არ არის ადვილი

ამერიკელი რადიო-კორესპონდენტი იტყობინება: „ახალი გერმანულ იარაღთან ბრძოლა არ არის ადვილი, ასეთია ყოველ შემთხვევაში აზრი ავტორიტეტულ წრეებისა, რომელთანაც მე მქონდა ხანგრძლივი ბაასი“-ო. კორესპონდენტი შემდეგ მოგვითხრობს, რომ ინგლისში იძულებული არიან შეურიგდენ ამ მძიმე პირობებს. გამოიწვია გერმანულმა ახალმა იარაღმა, ყველაზე მძიმეა უძილობა; ამიტომ რაც შეიძლება შორის, ორას კილომეტრებით, ახალ გერმანულ იარაღისაგან!

გერმანიის პარაშუტისტები მოქმედებენ

სან - ლო - ბაიე - ს გზაზე გერმანული პარაშუტისტების ჯგუფის მიერ აღებული იქმნა მტრის ერთ - ერთი გამაგრებული ბუდე იქ მყოფი დამცველები მთლიანად იქმნენ განადგურებული.

ჩრდილო ინგლისი ახალი იარაღის ცეცხლის ქვეშაა

ლონდონის რადიომ გამოაცხადა, რომ გერმანელებმა დაიწყეს ჩრდილო ინგლისის ახალი იარაღის ყუმბარებით დაბომბვა და 25 ივნისს მათი იერიშები მთელი დღე გრძელდებოდა.

გერმანიის უმაღლეს სარდლობის გაფრთხილება

გერმანული უმაღლესი სარდლობა იტყობინება, რომ მის მიერ მიღებული ცნობების მიხედვით, (შერბურგის რაიონში ტყვედ წაყვანილი ორგანიზაცია ტოდ-ის (ო. ტ.), გერმანულ ფორმაში ჩაცმული სამხედრო მოსამსახურეები და სამუშაო ასეულთა წევრნი, რომელნიც სახელურზე ატარებენ გერმანულ ჯარისადმი კუთვნილების წარწერებს,—დაჭერის შემდეგ იხვრიტებიან ინგლის - ამერიკელების მიერ. თუ ეს ცნობა დადასტურდა ერთ დახვრეტილ გერმანულ მებრძოლის მაგიერ დახვრეტილი იქნება ათი ინგლის - ამერიკელი სამხედრო ტყვე.

მდგომარეობა

სენ - ლოსთან

მე-19-ე ამერიკული ფეხოსანი დივიზია, რომელიც იყო დიდ ძალი ტანკებით დაცული და რომელმაც მიაღწია სენ - ლოს, იქმნა განადგურებული. ძნელია ამ ბრძოლის დაფასება, სწერს გერმანელი სამხედრო კორესპოდენტი ა. შმალფუსი. გერმანელების ამ ძლიერმა წინააღმდეგობამ არამც თუ შეაჩერა ამერიკელები, არამედ უკან დაახევინა. ერთ პატარა ბრძოლის სექტორზე მათ დასტოვეს 1000 მკვდარი და ძალიან ბევრი დაჭრილები. ამ დანაკარგზე თვითონ ამერიკელები მეტყველობენ, როდესაც მათ მიმართეს გერმანელებს. „გამოგვიგზავნეთ ექიმები და გაგიცვლით ტყვეებს“-ო. გერმანელი ჯარის კაცის მებრძოლი სული, უფრო მაგრდება, იმ ცნობებით, რომ მტერმა უნდა ზღოს ის რაც მან დათესა, შურის ძიება გერმანელ ქალაქების დანგრევისათვის.

„ლეგიონერი“-ს რედაქციის მისამართი:

Georgische Betreuungsstelle
16, rue Eugene Delacroix
Paris (16).

ტელეფონი: TRO 62-16

მეტრო: Pompe ან Trocadero.

ნებართვა «ПА 313».